საქართ. ძემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

მთავარი კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველგვერდზე 500 ათასი მან. უკანასკნელზე 300.000 მან. განცხადება 10.000 ნომპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის. 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6. ფოსტის ყუთი № 190. ტელეფონი 10—34.

№ 381

ხუთშაბათი, დეკემბერის 28

1922 წ.

გაზეთის ფასი ყველგან 5.000 მ.

ყოველდღიური საპოლიტიკო სალიტერატურო გაზეთი

„ტ რ ი ბ უ ნ ა“

1923 წლის იანვრის პირველიდან ეღირება ხელის მომწერთათვის დაგზავნით და სახლში მიტანით

თვიურად 200,000 მან.

ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: პეტროგრადში, მოსკოვში და საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებში. ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი—10—34 ფოსტის ყუთი № 190.

## ● რუსთაველის თეატრი ●

შაბათს 30 დეკემბერს

# ბუშინდელნი

№ 241 3—1

# მთლიანი ფრონტი

საერთაშორისო პოლიტიკის უმთავრესი ძალები ბუნებრივად მთლიანი ფრონტის შექმნისაკენ მიისწრაფვის.

მთელი რიგი კონფერენციებისა იმ მიზნით იყო მოწვეული, რომ ბურჟუაზიული ფრონტი გამრთელებულიყო და იგი დაპირისპირებოდა მუშათა კლასის ჯერ კიდევ დაქსაქსულ რიგებს.

ასეთი ცდა, მიუხედავად მრავალი კომბინაციებისა, სრული დამარცხებით დასრულდა. ასედაც უნდა მომხდარიყო. კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის მთლიანი ფრონტის იდეის განხორციელებას წინ ეღობება დაუძლეველი დაბრკოლება, რომელიც თვით კაპიტალიზმის შინაგანი თვისებები მიერ არის წარმოდგენილი.

ამ გარემოებით აიხსნება ის მოვლენა. რომ მიუხედავად რეაქციის გამეფებისა, ევროპის კონტინენტზე კვლავ შეუძლებელი ხდება რეაქციონურ ძალთა მტკიცე კავშირი. კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ღრმა ანტაგონიზმის ფაქტს დღესაც ვერ ფარავს მუსოლინისა და კერზონის დიპლომატიური ფანდები და ეს ანტაგონიზმი ყოველ ნაბიჯზე გარკვეულად სჩანს.

თუ ერთი მხრით შეუძლებელი ხდება ბურჟუაზიის ფრონტის გამრთელება, მეორე მხრით მუშათა კლასის რიგებშიაც დაქსაქსულობაა გამეფებული და დღეს უკვე გაერთიანებული ინტერნაციონალები, ვენისა და ლონდონის, მკვიდრი დასაყრდენი ნიადაგია კაპიტალის მაგნატთა ბატონობისა.

ეს გარემოება, რა თქმა უნდა უდიდესი საფრთხეა მუშათა კლასის რევოლიუციონური ბრძოლისათვის, მაგრამ არის მეორე დიდი და სერიოზული მოვლენა მუშათა კლასის სასარგებლოდ, სადაც მთლიანი ფრონტის იდეა ხორციელდება და იგი უპირისპირდება ბურჟუაზიის გაუმრთელებელ ფრონტს. ასეთ ძალას წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფონი.

დღეს მოსკოვში მე-10 ყრილობაა საბჭოების. ეს ყრილობა არა ჩვეულებრივია არა მარტო მით, რომ ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის შემდეგ უხდება მას მუშაობა, არამედ კიდევ უფრო არა ჩვეულებრივია მით რომ ამ ყრილობას ესწრება გარდა რ.ს.ფ.ს.რ. დელეგატებისა 400-მდე დელეგატი მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებისა.

როგორც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა, ისე უკრაინამაც მიიღო დებულება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნისა, რასაც თავის ხმას შეუერთებს მე-10 ყრილობა რუსეთის საბჭოებისა და საკავშირო ალმასკომის შესაქმნელად მოწვეულ იქნება ყველა საბჭოების ყრილობა.

ეს პოლიტიკური აქტი მნიშვნელოვანია, არა მარტო საბჭოთა რესპუბლიკების მაშტაბით, არამედ საერთაშორისო მუშათა კლასის მაშტაბით.

დღეს ფაქტიურად საბჭოთა რესპუბლიკები წარმოადგენს რევოლიუციონურ მოძრაობის რეზერვუარს და ამ ქვეყნებიდან უნდა გაისმას პირველი პაროლი კაპიტალისტური ქვეყნების აფეთქებისა.

ჩვენ ჯერ კიდევ საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე აღვნიშნეთ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საჭიროება და ამიერ-კავკასიის ფედერაციის ნაცვლად საბჭოთა ქვეყნების ფედერაციას მოვითხოვდით.

საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიულად დაკავშირება, გამარტივებაა ფედერალისტური იდეის და არა მარტო იდეის, არამედ თვით ამ ქვეყნების.

ჩვენ არასოდეს არ ვივიწყებთ საქართველოს თავისუფლების საკითხის და ჩვენი მოღვაწეობისა და შემოქმედების ერთი მთავარი საკითხთაგანია. დღეს, როდესაც ცრუ პატრიოტები განგაშს სტეხენ საბჭოთა ქვეყნების კავშირის წინააღმდეგ, ჩვენ ღრმა შეგნებით ჩვენი ქვეყნის ინტერესებისა ასეთ კავშირს მხარს უჭერთ და ვცდილობთ, რომ გამაერთიანებელი ტენდენციის განვითარებამ არ მოგვცეს სახელმწიფოთა უნიფიკაცია, არამედ მივიღოთ სალი ფედერაცია, დამყარებული ერთა თანასწორობის ნიადაგზე.

გაერთიანებული ფრონტი საბჭოთა რესპუბლიკებისა ჩვენ მოგვცემს მაქსიმალურ მიღწევას, როგორც კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად, ისე საშინაო პოლიტიკის გასამტკიცებლად.

# ნარკვევი

### ამერიკა და ევროპა

გაზ. „იზვესტია“ ეხება ევროპასა და ამერიკის მდგომარეობას და ურთიერთობის უკანასკნელ ხანებში და ლონდონის კონფერენციასთან დაკავშირებით. მოგვყავს ეს წერილი შემოკლებით:

მორიგი მარცხი ლონდონის თათბირისა სარეპარაციო პრობლემის გადაწყვეტის შესახებ, ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს ევროპის უძლურებას გამოვიდეს იმ ჩიხიდან, რომელშიც ის ვერსალის „ზავმა“ მოამწყვდია. თანამედროვე ფაშისტური ევროპა—გაკოტრებული არის ყოველმხრივ.

მით უფრო ხელოვნურია ეკონომიური ადორძინება შეერთებულ შტატებში. ომის შემდეგ შეერთებულ შტატებმა 1921 წ. განიცადეს დიდი სამრეწველო დეპრესია, რომელიც ხასიათდებოდა უმუშევრების არაჩვეულებრივი ზრდით, რომელმაც ერთ დროს ექვს ნახევარ მილიონს მიაღწია. ეხლა უმუშევრობა თანდათან ქრება სამრეწველოს გამოცოცხლების გამო. უმუშევრობა „ნორმალურ“ ფორმებამდე კლებულობს და ეს არის ძირითადი ნიშნეულობა გაუმჯობესებულ კონიუქტურისა.

ამერიკული ექსპორტის შემცირება კი, ფასების აწევასთან ერთად, საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ ეკონომიური გაუმჯობესება სავსებით შინაგანი ფაქტორებით იქმნება. ფასების ზრდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე,—აი ეს არის მეორე მხარე მრეწველობის გაუმჯობესებისა. ამ შინაგან შესაძლებლობათა არსებობა მოწმობს ამერიკული კაპიტალიზმის შინაგან ძალას და საფუძველს აძლევს ამერიკელ კაპიტალისტებს მედიდურად განაცხადონ, რომ სრულებით არ დადასტურდა ის მოსაზრება, თითქოს ამერიკის კეთილდღეობა ევროპის ბაზრების კეთილდღეობაზე იყოს დამოკიდებული. მიუხედავად ამისა ასეთი განცხადება სავაჭრო პალატის პრეზიდენტის ბარონსის პოულობს ამერიკაშივე ოპოზიციას, რომლებიც მომხრენი არიან ევროპასთან მჭიდრო ეკონომიური კავშირისა. უმთავრესად ამ თვალსაზრისზე არიან ის ფერმებთა წრეები ამერიკულ დემოკრატებისა, რომელთაც ფასების გაძვირების ნიადაგზე საფუძველი აქვთ უკმაყოფილო იყონ მაღალ პროტექციონისტული პოლიტიკით პრეზიდენტ გარდინგის ადმინისტრაციისა. უკანასკნელი კონგრესის არჩევნები, რომელიც 7 ნოემბერს მოხდა და რომელმაც გამარჯვება დემოკრატებს მისცა, ნათლად უსვამენ ხაზს მოძრაობას მაღალ პროტექციონისტულ ტარიფების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ევროპასთან დაახლოების მომხრენი აუცილებლად სცნობენ მიეცეს მას კრედიტი და რომ ევროპის ბაზრის აღდგენა აუცილებელი არის მსოფლიო კაპიტალისტური წონასწორობისთვისო.

მთავარი მიზეზი იმისა, რომ ამერიკა თავს იკავებდა ევროპასთან ეკონომიურ ურთიერთობიდან მასში მდგომარეობა, რომ ამერიკული კაპიტალი ევროპას იზიდავდა, როგორც გაკოტრებულ მოვალეს, რომელსაც არაფრით არ შეუძლია ძველი ვალდებულების გასტუმრება. სამრეწველო კრიზისი ამერიკაში თითქოს უკარნახებდა ამ უკანასკნელს ევროპასთან მორიგებას, მაგრამ რაც უფრო მეტად კარგავდა ევროპა თავის სამეურნეო წონასწორობას და რაც უფრო ეცემოდა მისი ვალიუტა, მით უფრო უიმედო ხდებოდა ამერიკული საქონლების იმპორტი ევროპაში.

ეხლა უკვე ამერიკამ დასძლია სამრეწველო დეპრესია, მაგრამ არავისთვის არაა საიდუმლო, რომ სამრეწველო განვითარებას შინაგანი წესით საზღვარი აქვს და შესაძლებელია კიდევ ახალი დეპრესია. ამის გამო იწვევს ინტერეს ევროპის აღდგენის პრობლემა,—რომელმაც უნდა იხსნას ამერიკა ახალ საფრთხისაგან. დღეს ეს საკითხი ყველაზე მეტად მწვავედ სდგას ამერიკულ საქმიან წრეების წინაშე.

მაგრამ კიდევაც რომ გადასწყვიტოს ამერიკამ ევროპის შველა, სდგება საკითხი, მონახავს კი იმ საშუალებებს, რომლებიც აუცილებელია ევროპას სამეურნეო წონასწორობის აღსადგენად? 1914 წელს ამერიკის მთელი ვალი ერთ მილიარდზე ცოტა ნაკლები იყო; 1921 წელს ფედერაციის ვალი 16 მილიარდ დოლარს აღემატება; ეს ჯამი დიდდება კიდევ 7 ნახ. მილიარდით—მოკლე ვადიანის სესხებით: გამორკვევის სესხით, ხაზინის ობლიგაციებით და სამხედრო სესხებით.

ფედერაციის საერთო ვალის ჯამი აღწევს 1921 წლისათვის, მაშასადამე, 23 მილიარდ დოლარს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ექვსი წლის განმავლობაში ამერიკამ ზედმეტი გატანით შეიძინა 18 მილიარდი, მაშინ მისი დავალიანება მაინც მეტია შემოსავალზე. აქედან ადვილია იმის დასკვნა, რომ ფინანსიური მდგომარეობა არც ისე ბრწყინვალეა, როგორც ეს ზოგიერთებს ეჩვენება, რომელნიც არ არიან გაცნობილნი ამერიკის ნამდვილ მდგომარეობასთან.

აქედან ცხადია, რომ საკითხი ამერიკის მიერ ევროპისთვის კრედიტის მიცემისა მრავალ ეჭვებს იწვევს. საეჭვო არის შესძლებს თუ არა ამერიკა ევროპის აღსადგენად კაპიტალების იმ რაოდენობის შოვნას, რომელიც საჭიროა ევროპის იმ ეკონომიურ ჩიხიდან გამოსაყვანად, რომელშიც ის იმპერიალიზმის პოლიტიკამ შეიყვანა.

---

ფაბრიკა-ქარხნების რევოლიუციონური მოძრაობა გერმანიაში დაიწყო რატენაუს მოკვლის შემდეგ. მისი შეჩერება ვერ შესძლო ვერც ბურჟუაზიამ და ვერც გაერთიანებულ სოც. დემოკრატიის მეთაურებმა,

ნოემბრის 23—25-ს ბერლინში მოწვეულ იქმნა სრულიად გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების პირველი ყრილობა. ამ ყრილობამ დაამტკიცა, რომ ფაბკომების რევოლიუციონურ მოძრაობას ზურგს უმაგრებს ფართო მშრომელი მასსა.

დიდ ზალაში „ახალი მსიულიო“-სი თავს მოიყარა 847 დელეგატმა. ყრილობაზე მონაწილეობდა 657 კომუნისტი, 38 წევრი გაერთიანებულ სოც.-დემოკრატიის, 22 წევრი დამოუკიდებელთა პარტიის (ლედებურის ჯგუფი), 52 უპარტიო, 17 წევრი კომკავშირის 3—სოც. დემ. ახალგაზდობის, 3—სინდიკალისტი და სხვ.

ყრილობის სხდომებს ჰქონდა საქმიან ხასიათი. მისალმებების შემდეგ გროტემ გააკეთა მოხსენება ყრილობის მომწვევ ალმასკომის შესახებ. მოკლე სიტყვაში მან აღნიშნა, რომ ფაბკომების რევოლიუციონურ მოძრაობას მხარს უჭერს არა მარტო კომპარტია, არამედ დამოუკიდებელ ს. დ. კარტი და უპარტიონი. ფაბკომების კონგრესის მოსაწვევად და და საკუთარ ორგანოს დასაარსებლად მუშებმა შეაგროვეს თავიანთ წრეებში 1.800.000 მარკა.

გროტეს შემდეგ ჰილფერდინგს უნდა წაეკითხა მოხსენება „ეკონომიურ-პოლიტიკურ მდგომარეობასა და წარმოებაში კანტროლის შემოღების შესახებ“. რადგან მომხსენებელი არ გამოცხადდა, ამ თემაზე მომხსენებლად კომუნისტი ბრანდლერი. გამოვიდა და მან ილაპარაკა ორ საათს და გაარკვია, როგორც საერთო მდგომარეობა, ისე კომპარტიის გზა.

ბლანდლერის მოხსენების შემდეგ მოსმენილ იქმნა მოხსენებანი ადგილებიდან. მომხსენებლები მოითხოვდნენ რევოლიუციონურ ფაბკომების მხარის დაჭერას და პროლეტარიატის ამოძრავებას.

დასასრულ მიღებული იქმნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ადგილობრივ ფაბკომებმა უნდა მხარი დაუჭირონ უმუშევართა მოთხოვნილებებს და სხ. ყრილობამ გაილაშქრა „მშიერთა უწესრიგობის და კერძო გამოსვლების წინააღმდეგ, რომელსაც არ მოყვება არავითარი დადებითი შედეგი. მხოლოდ შეერთებული, ორგანიზაციული ბრძოლითაა შესაძლებელი პროლეტარიატის გამარჯვება.

აღსანიშნავია აგრეთვე პროფკავშირების შესახებ მიღებული რეზოლიუცია. მიუხედავად პროფორგანიზაციების ზედაწრეების მტკიცებისა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ფაბრკომების რევ. მოძრაობა ქსაქსავს, აუძლურებს პროფკავშირებსო, ყრილობამ გადაწყვეტით აღიარა, რომ მუშებმა ერთ წუთსაც არ უნდა დაივიწყონ ის განსხვავება რომელიც არსებობს ბიუროკრატიას და პროფკავშირებს შორის.

ყრილობამ წამოაყენა აგრეთვე საერთაშორისო მუშათა კლასის ყრილობის მოწვევის საკითხი. და ბოლოს, გერმანიის კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველად, ყრილობამ საჭიროდ სცნო ადმინისტრატიულ პოსტებიდან რეაქციონერების დათხოვა, ენერგიული ანტიმონარქიული პროპაგანდა და მუშების შეიარაღება.

**საქსონიის ცდა.** დიდი ხანია, რაც გერმანიაში მუშათა მთავრობის შედგენის საკითხს აყენებს კომპარტია. ეგ საკითხი დასმულ იქნა ფაბკომების ყრილობაზედაც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გერმანიაში მუშათა მთავრობის რეალიზაცია მოსახერხებელია. მართალია, რეიხსტაგში მუშათა პარტიებს არ ყავთ უმრავლესობა, მაგრამ მუშათა მთავრობა მიიღებს დიდს დახმარებას პარლამენტის გარეშეც. ამ ჟამადაც გერმანიის მთელ რიგ პროვინციებში მუშათა პარტიებს ყავთ უმრავლესობა. საქსონიაში მუშათა პარტიებს ყავდათ ლანდტაგში უმრავლესობა და ყავთ ახლაც. აშკარაა, ამან აიძულა სოც.-დემოკრატია მიემართა მთავრობის შედგენის წინადადებით. ამ წინადადებაზე კომპარტიამ მისცა დადებითი პასუხი. მუშათა მთავრობის შესადგენად წამოყენებულ იქმნა შემდეგი მოთხოვნილებანი: 1) მუშების უზრუნველყოფა სურსათით და პირველსაჭიროების საგნებით. ფასების დაკლების გზით. 2) მდიდართა კლასისაგან გადასახადების დაუყონებლივი აკრეფა. 3) მუშების უზრუნველყოფა ბინებით. 4) უზრუნველყოფა 8 საათ. სამუშაო დღის 5) დაუყონებლივი ამნისტია პოლიტიკურ დამნაშავეების, 6) „ტეხნიკურ თვითდახმარების“ ლიკვიდაცია; 7) შედგენა მუშათა თვითდაცვის ორგანაზაციის 8) ულმობელი ბრძოლა კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ; 9) საქსონიის ქარხნების კომიტეტების ყრილობაზე ახალ კანონების დამტკიცება, რომელთაც აქვთ მუშების დაცვის ხასიათი, და 10) მასსის მობილიზაცია კოალიციურ პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად და სრულიად გერმანიის მუშათა მთავრობის შესადგენად.

საქსონიის ცდამ დაგვანახა, რომ სოც. დემოკრატიას იძულებით უხდება ანგარიშის გაწევა მუშებთან, ფართო მასსასთან. რამოდენიმე თვის წინეთ სოც.-დემოკრატებს აზრადაც არ მოუვიდოდათ მუშათა მთავრობის შესადგენად კომპარტიისადმი მიმართვა.

# მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს *)

### (25 წლის იუბილეს გამო)

ელინთა ერთი მოხდენილი ზღაპარი გვამცნევს, რომ წინათ ადამის მოდგმა ყოფილა ველური, სუსტი, უნიჭო და ყოვლად საბყარი. ტყესა და ველში ის ეწეოდა მხეცურ ცხოვრებას ტიტველშიშველი.

ღმერთები კი ამ დროს განცხრომით სუფევდენ ოლიმპის თხემზე, სტკბებოდნენ ნექტარით და ამბროსიით, მშვენიერების ჭვრეტით და უკვდავებით.

შებრალდა გმირს პრომეთეს უმწეო ადამიანი; ავიდა ბუმბერაზი ოლიმპის მთაზე, მოსტაცა ღმერთებს ღვთიური ცეცხლი, გადასცა იგი ადამის მოდგმას, ასწავლა ხელოსნობა და წმინდა ხელოვნება.

განრისხდენ ღმერთნი. ზევსმა დასაჯა „თავხედი“ გმირი, მიჯაჭვა იგი კავკასიონის კლდეზე ყორნის საქენჯნათ...

ხალხთა უმრავლესობამ შეითვისა ხელოსნობა, როგორც პრაქტიული ცოდნა, შექმნა მეურნეობა და მრეწველობა, გაძლა, შეიმოსა, აიგო ბინა, ააშენა სოფელქალაქნი და წარმოშვა სახელმწიფონი, შექმნა და ააყვავა ნივთიერი კულტურა.

ღვთიური ცეცხლი კი ხელოვნების სახით აღივიდა მხოლოდ **რჩეულთა ხელში**, აჩქეფდა ნაკვთის, ხაზების, ფერადების, ჰანგების და პოეზიის მშვენიერ ჩანჩქერად.

ამ ხელოვნების დარგებს მფარველად გაუხდნენ ზეცის ასულნი მუზების სახით.

წარმოიშვა ამრიგად წმინდა, დიადი ხელოვნება სარწმუნოებით გამთბარი, მშვენიერებით აყვავებული, ჭეშმარიტებით გასხივებული და ზენაარი სიყვარულით სულჩადგმული, მარადიული...

— ეს ციური ჯილდო, ეს წმინდა ხელოვნება იყო, რომ ააგო ამ სოფლად დიადი წალკოტი, რომლის წიაღში ივიწყებს ცხოვრების ვარამს, ნეტარებს სულით, ენასკვება ზეცას და ჭვრეტს თვით ღვთაებას მაშვრალი ხალხი.

ამ უცხო წალკოტში ამართულან გოროზად ხელოვნების დიდი ტაძრები და ქურუმობენ მათში ზეგარდმო მადლით მირონცხებულნი. ირგვლივ იკმევა თვით უკვდაების გუნდრუკი და საკმეველი...

და იქ იმ დიდებულ წალკოტში ჰგიებს ტურფა კუნჭული, შემკობილი ქართველი ერის გენიალობით. იქ ქურუმობენ ქართველი ხელოვანნი, იქ სუფევს ოქროს სევანზე უკვდავი შოთა ხელოვანთ გუნდით გარემოცული.

აინთო შენს სულშიაც პრომეთეს ღვთიური ცეცხლი, ჩემო ძვირფასო იაკობ. და აი, ამ საკაცობრიო დიად წალკოტის მშვენიერ კუთხეში ამართულ ხელოვნების ტურფა ტაძარში შენც წილად გხვდა სავანე პატიოსანი.

წარსულ საუკუნის მიწურულს შენ პირველმა აიღე ხელში ჩამჩა, ჩაქუჩი, თიხას მიეცი კაცის სახება. ამეტყველე ქვა და ლითონი.

*) წერილი დეკემბრის შვიდშია გამოგზავნილი, მაგრამ ეხლა მივიღეთ.

რედ.

შენ გადალახე ნივთიერი შევიწროება, ხშლიე ოჯახის ხუნდებს, წახველ შორეულ ადგილს და დაეწაფე იქ წმინდა ხელოვნებას. იქ შეიქენი დიდი როდენის ღირსი მოწაფე და დაუბრუნდი შენს სამშობლოს შემოქმედებით აფრთოვნებული. შენ აქ შეუდექ მედგარს შრომას, ამცნე ქვეყანას ქართული ქანდაკება და წარმოშვი ახალი სკოლა.

და აჰა, შენს 25 წლის ღვაწლს, შენს მაღალ ნიჭსა და შემოქმედებას, უკვე დიდი ხნით დაფასებულს დღეს უხდის ზეიმს ქართველი ერი. დღეს მხურვალე სიტყვით მოგმართავენ შენი მოძმენი და ადიდებენ შენს ხელოვნებას სპეტაკს, მშვენიერს, თავსა მთებარეს ციური ცეცხლით შენ შეგიმკობენ დაფნის გვირგვინით...

და მე მიკრულმა პონტის ნაპირას რა უნდა გიძღვნა შენ, ხელოვანო და მეგობარო, თუ არა ისევ ის პაწია ლექსი, რომელიც ამ 10 წლის წინ მაისის ერთ საღამოს კაფიად ჩავწერე შენსა ალბომში?!

აი, ის ლექსიც:

—„ხელში ლოდი აგილია,
შთაგიბერავს შენი სული,
კლდის ნატეხას აგრძნობინე
მწუხარება, სიხარული.
უშნო ქვიდან გამოჰკოდე
ქალის ნაკვთი მონარნარე,
მის სინაზეს, ტურფა სახეს
დაუმონე მზე და მთვარე.
—ხელოვანო, ვაშა შენს ნიჭს,
შენს გენიას, ალმაფრენას,
რომ ცივს ლითონს ათფობ გრძნობით
და მუნჯ თიხას აძლევ ენას!
უკვდავი ხარ! უკვდავია
ეგ ქანდაკნი მშვენიერი!
—საქართველოს ღირსო შვილო,
დაფნით გამკობს შენი ერი!...“

მოხარული ვარ დიდათ, რომ დღეს ახდა ამ ლექსში წინასწარ თქმული და მადლიერი ქართველი ერი უკვდაების გვირგვინით ამკობს თავის ღირსეულ შვილს.

დასტკბი, მეგობარო! ბედნიერი ხარ! ეგ წამი უდრის მარადისობას...

**ს. ქვარიანი.**

ბათომი.

# ზოგი რამ

**ბარბარიზმები, ანუ უცხო სიტყვები.**

უცხო სიტყვები—მეტ წილად ევროპიული—მეცხრამეტე საუკუნეში და აქნობამდე რუსული ენითგან შემოდიოდა. მაშინაც გაისმოდა ჩივილი, ზოგჯერ მეტია და ტყუილად ამძიმებენ ქართულ ენას უცხო სიტყვებითაო. უკანასკნელ წლებში ევროპაში ნასწავლი ქართველი ახალგაზრდობა ისწრაფვის ქართულ ენაში შემოიტანოს უშუალოდ ზედმეტად კიდევ ევროპიული სიტყვები. ეხლაც დაუწყიათ ჩივილი და ჟურნალს **„ხომალდს“** მიუმართნია საყვედურით კოწია გამსახურდიასათვის, როგორც ისეთი პირისთვის, რომელიც ჰხმარობს ევროპიულ სიტყვებს, უთუოდ ისეთებს, რომლის თანაბარიც მოეპოება ქართულ ენას, თორემ **„ხომალდი“** არ დასძენდა, იქნება ეს ქართული ენის სიღარიბით აიხსნებოდესო. არც მე ვარ წინააღმდეგი ვიხმაროთ უცხო სიტყვა, როცა იგია მეტყველი ისეთი მოყენებული საგნის, თუ განყენებული ცნებისა, რაც ჩვენს ენას არა აქვს, ცხოვრებას არ შეუქმნია. მაშასადამე ყოველ შემთხვევაში უნდა ვერიდნეთ უცხო სიტყვების შემოტანას, ქართულ ენაში, როცა მათი თანაბარი მოგვეპოება თუნდაც ძველისძველი სიტყვა, რადგანაც, როგორც ევროპიული ბარბარიზმი, ისე მისი თანაბარი ქართული არქაიზმი ორივე ფართო საზოგადოებისათვის გაუგებარია და სჯობს ისევ ქართული არქაიზმი გავრცელდეს.

საერთოდ ქართულ ენაში ბარბარიზმების გავრცელებას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ეხლანდელი ქართველი მწერლები ნაკლებად არიან გაწაფულნი კლასიკური მშობლიური ლიტერატურის ცოდნაში, რის გამო აზროვნობისათვის საჭირო ლექსიკონი ღარიბი აქვთ. ნათქვამია: მწერლობისთვის საჭიროა ცოდნა თუ ენის მთელი ლექსიკონის არა, ორი მესამედის მაინცაო. ასე რომ მხოლოდ ენის და მწერლობის ღრმა ცოდნა, ქართული ერუდიცია მოგვცემს, ლონის ძიებას ბარბარიზმების წარამარა ხმარებას ვერიდნეთ და იმ დროსვე ენის კულტურის ნორმების ერთობა დავამყაროთ მწერლობაში თორემ უცოდინარობა სამწუხაროდ ეტყობა როგორც ნიჭიერის, ისე უნიჭო მწერლის ნაწერსა. ძველად კი ორნივე მცოდნე იყვნენ ენის კულტურის ნორმებისა და ამის გამო ნაწერს ეთნიკური კოლორიტი არ ეტყობოდა და დამწერის ვინაობაც ძნელი გამოსაცნობი იყო—ეხლა? ხელმოუწერელიც რომ დაიბეჭდოს წერილი, ადვილი გამოსაცნობია, რომელ კუთხეს ეკუთვნის ავტორი. ყველანი ვსწერთ იმ საყველპურო ენით, რომელსაც შინ ვლაპარაკობთ და გვავიწყდება, რომ უნდა ვილაპარაკოთ ისე, როგორც იწერება და ვსწეროთ ისე, როგორც ილაპარაკება.

**პეტრე მირიანაშვილი.**

# ლოზანას კონფერენცია

**მოსულის ოლქის საკითხი.**

**ბორდო** 27 დეკ. ოსმალეთის დელეგაციამ ბრიტანეთის მემორანდუმის საპასუხოდ მოსულის საკითხის შესახებ აღნიშნა ყველა ის მიზეზები ეთნოგრაფიული, პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო ხასიათის რომლის ძალით ოსმალეთს არ შეუძლია უარი სთქვას მოსულის ოლქზე.

**მსოფლიო პატრიარქის საცხოვრებელი ადგილი.**

**პარიზი**, 27 დეკ. მცხოვრებთა გადაცვლის ქვე-კომისიამ განიხილა პატრიარქის საკითხი. საბერძნეთის დელეგატებმა კაკლამანომმა განაცხადა, რომ საბერძნეთს არ შეუძლია მიიღოს არც ერთი წინადადება, რომელიც წამოყენებულია პატრიარქის საკითხის შესახებ ოსმალეთის უკანასკნელ დეკლარაციაში და საბერძნეთი დაჟინებით მოითხოვს მსოფლიო პატრიარქის სტამბოლში დატოვებას. შემდეგ კაკლამონმა განაცხადა, რომ საბერძნეთის დელეგაცია კატეგორიულ უარს ამბობს მსოფლიო პატრიარქის სტამბოლიდან გადაყვანის საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე.

**ბორდო** 27 დეკ. ათინის გაზეთები იუწყებიან, რომ საბერძნეთის მთავრობამ გადასწყვიტა დათმობის გზაზე არ წავიდეს პატრიარქის საკითხში იმ შემთხვევაშიც თუ მოკავშირეებმა გაიზიარეს ოსმალეთის თვალსაზრისი.

**ხანგრძლივი თათბირი.**

**რომი** 27 დეკ. პარიზიდან იუწყებიან, რომ ლოზანას კონფერენციაზე საფრანგეთის დელეგატებს ბონპერს და ბარერს ორი დღით პარიზში ყოფნის დროს ხანგრძლივი თათბირი ქონდათ პუანკარესთან.

**პოლონეთი.**

**პოლონეთის პრეზიდენტის დეპეშა მილიერანს.**

**ბორდო**, 27 დეკ. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მილიერანს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც აცხადებს, რომ ის შეეცდება კიდევ უფრო განამტკიცოს და გააძლიეროს ძმობის და მეგობრობის კავშირი საფრანგეთსა და პოლონეთს შორის.

# უცხოეთი

**პოლონეთში.**

**მოსკოვი.** 26 დეკ. სეიმის კომისიამ უარყო დეპუტატ ლიბერმანის და დანცუცკის მიერ წარმოდგენილი წინადადება კომუნისტ დეპუტატის კრულიკოვის წინააღმდეგ სასამართლოს გამოძიების მოსპობის შესახებ.

**იტალიაში.**

**მოსკოვი.** 26 დეკ. იტალიის შინაგან საქმეთა ვიცე მინისტრმა გაზ. „სტამპას“ თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომ პარტიულ ბრძოლის გამწვავების გამო მთავრობას განზრახული აქვს მოაწყოს იტალიის მთავარ ქალაქებში ფაშისტების საიმედო რაზმები. პრეფექტების ადგილს დაიჭერენ ფაშისტები. მთავრობა განსაკუთრებულის სიფხიზლით ადევნებს თვალს მომავალში კომუნისტების და მაქსიმალისტების საქმიანობას.

**მაერში მომხდარ გაფიცვის გამოძახილი.**

**მოსკოვი.** 26 დეკ. პარიზში დაიწყო საქმის გარჩევა მაერში მომხდარ გაფიცვის შესახებ. გაფიცვის ხელმძღვანელებს ბრალდეგათ წაუყენეს არა მათი კონკრეტიული მოქმედება, არამედ მათი კომუნისტური რწმენა. ბრალდების მოწმეებად გამოდიან ჯაშუშები და პროვოკატორები.

**თურქესტანში.**

**მოსკოვი.** 26 დეკ. რ. კ. პ. ც. კ. შუააზიის ბიუროს თავმჯდომარემ რუდზუტაკმა „როსტას“ თანამშრომელთან საუბარში განაცხადა: „თურქესტანის საერთო მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, სოფლის მცხოვრებნი ენერგიულად მუშაობენ დანგრეულ და ნახევრად დანგრეულ შენობების აღსადგენად. სახელმწიფოებრივ ხელისუფლების მთავარი მიზანია მოსახლეობის ინვენტარით და მუშა საქონლით უზრუნველყოფა და სარწყავი არხების განადგურებული ქსელის აღდგენა.

**პატიმართა გადაცვლის გამო.**

**მოსკოვი.** 26 დეკ. მოსკოვში ლიტვიდან ჩამოვიდა ლატვიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური „ოხრანკას“ მიერ განაწამები 90 ლატვიელი კომუნისტი, რომელნიც გადაცვლილი არიან ლატვიასთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად. ვინდავის სადგურზე ჩამოსულებს მუშები, რკინის გზელები და მოწაფეები წითელი დროშებით და ინტერციონალის სიმღერით შეეგებენ.

# საბჭოთა მეათე ყრილობა

**ამხ. მესიაცევის მოხსენება სასოფლო მეურნეობის აღდგენის შესახებ**

**მოსკოვი** 27 დეკ. 25 დეკემბრის საღამოს სხდომაზე მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრმა ამხ. მესიაცევმა გააკეთა მოხსენება სასოფლო მეურნეობის აღდგენის შესახებ და აღნიშნა შემდეგი: „ოქტომბრის რევოლიუციამ მისცა გლეხობას 40 მილიონი დესეტინა მიწა. ეს ფონდი თანასწორადაა დაყოფილი გლეხების ხელში მყოფი მიწის რაოდენობა 75 პროც. გაიზარდა. ოქტომბრამდე არსებულ რაოდენობასთან შედარებით. ჩვენი სასოფლო მეურნეობა თითქმის სავსებით გლეხურ ხასიათს იღებს. საბჭოთა სახელმწიფომ დიდი დახმარება გაუწია გლეხობას ინვენტარით, გადასდო სასოფლო მეურნეობის საჭიროებისათვის 350 მილ. მანეთი ოქროთი. შეისყიდა სამეურნეო იარაღები 20 მილ. მან. ოქროთი და გააუქმა მეფის ვალები, რომელიც მძიმე ტვირთად აწვა სასოფლო მეურნეობას. არმიის დემობილიზაციამ დაუბრუნა სოფელს მუშა-ძალა. სასოფლო მეურნეობის მავნეულობასთან და მსხვილფეხა საქონლის ავადმყოფობასთან ბრძოლამ გადაარჩინა ნათესები და საქონელი. ყველაფერმა ამან სასურველი გავლენა მოახდინა სასოფლო მეურნეობის აღდგენაზე. მთელ რიგ რაიონებში სასოფლო მეურნეობამ უკვე მიაღწია ომამდე არსებულ მდგომარეობას განსაკუთრებით ჩქარის ტემპით მიმდინარეობის საშემოდგომო ნათესების აღდგენა. რომლის რაოდენობა 25 პროც, აღემატება შარშანდელ ნათესებს. სწარმოებს უფრო მიწის დამუშავების რადიკალურ სისტემაზე გადასვლა. ყველგან იზრდება ტეხნიკურ კულტურის ნათესების არე.

მდგომარეობა მაინც მძიმეა, განსაკუთრებით საქონლის მოშენების დარგში. საქონლის რაოდენობა შემცირდა 2 პრ. ომამდე არსებულ ნორმასთან შედარებით.

მიწის კანონმა გაანთავისუფლა გლეხობა: ძველ იძულებითი „ობჩინების“ ნაცვლად შექმნილია მწარმოებელთა თავისუფალი „ობჩინები“. შინაურ მიწის მოწყობის დარგში შარშანდელი წლის ამოცანა 120 პროც. არის შესრულებული, წინააღმდეგ 80 პროც.-ისა. რუსეთის ტყეების რაოდენობა უდრის 147 მილ. დესეტინას აქედან გლეხების ხელშია 13 მილ. დესეტინაზე მეტი.

დიდი გამარჯვებაა მიღწეული კოოპერაციულ აღმშენებლობის დარგში. სასოფლო მეურნეობის კოოპერატივთა რიცხვი 25,000-დე აღწევს. ეს კოოპერატივები აერთებენ 15 მილ. მიწის მუშას. საჭიროა გლეხობა დაინტერესებულ იქნას კოოპერაციის განვითარებაში სასოფლო მეურნეობის გადასახადები იმ გვარად უნდა იქნეს შემუშავებული, რომ ამან ხელი შეუწყოს უფრო მაღალ კულტურის განვითარებას იგივე როლი უნდა ითამაშოს სასოფლო სამეურნეო კრედიტმა, რომლის შექმნისათვის საბჭოთა ხელისუფლებამ გადასდო 15 მილიონი მანეთი ოქროთი და კიდევ ფიქრობს 200 მილიონის გადადებას, უმთავრესად მუშა საქონლისა და სასოფლო სამეურნეო იარაღების შესაძენად. საჭიროა ყოველივე ძალ-ღონე მიმართულ იქმნეს გლეხების სათესლე ფონდის შექმნისაკენ. ყოფილ დამშეულ ოლქებში საჭიროა შემოღებულ იქნეს გვალვა—მძლე კულტურა, გადიდდეს ნათესების არე და შეიცვალოს სასოფლო მეურნეობის ხასიათიც მიღებულია ზომები სათესლე მასალის გასაუმჯობესებლად, დაარსებულია 19 სანიმუშო სათესლე მეურნეობა.

მომხსენებელი ათავებს სიტყვას და მოუწოდებს ყრილობას, რათა სასოფლო მეურნეობის აღდგენის საქმეში ჩაბმულ იქნეს საუკეთესო პარტიული და საბჭოთა ძალები და გაორკეცებული ყურადღება მიაქციოს სასოფლო მეურნეობის აღორძინებას.

**ამხ. სტალინის მოხსენება საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის შესახებ.**

26 დეკემბრის დილის სხდომაზე ამხ. სტალინმა გააკეთა მოხსენება სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შესახებ „საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების კამპანია დაიწყო 4 თვის წინად აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის მიერ.

საბჭოთა რესპუბლიკების შორის არსებული კონვენცია საკმარისი არ აღმოჩნდა. საჭირო შეიქნა საბჭოთა რესპუბლიკების ერთ საკავშირო სახელმწიფოში გაერთიანება. ჩვენი რესურსების ნაკლულოვანება მოითხოვს სამეურნეო საშუალებათა ეკონომიას საბჭოთა რესპუბლიკების მხოლოდ ეკონომიური გაერთიანება მოგვცემს საშუალებას მომჭირნეთ დავხარჯოთ ჩვენი სამეურნეო საშუალებანი. დიდ როლს თამაშობს აგრეთვე ისტორიულ შექმნილი შრომის დანაწილება სხვა და სხვა რაიონებსა და რესპუბლიკებს შორის. ჩრდილოეთი ყოველთვის აწვდიდა სამხრეთს მანუფაქტურას, სამხრეთი კი აწვდის ჩრდილოეთს პურს, ბამბას და სხვა ნედლ მასალას ხოლო ასეთი განაწილება სამეურნეო დარგში შეუძლებლად ხდის რესპუბლიკის სხვა და სხვა რაიონების განცალკევებულად არსებობს.

(შემდეგი იქნება)

# ახალი ამბები

— **დიდი ლატარია საქ. დამშ. დამხმ. კომიტეტის სასარგებლოდ.** ამხ. თაქთაქიშვილს დაევალა რაიონის მილიციის უფროსების საშუალებით, მიიღოს ზომები ლატარიის ბილეთების გაყიდვისათვის შეძლებულ პირებისა და ვაჭრებს შორის, იმ აუცილებელ პირობით, რომ ბილეთების გაყიდვა მოხდება შთაგონების საშუალებით და არავითარი იძულებითი ზომებს ადგილი არ უნდა ქონდეს.

— **ბათომის ბირჟაზე.** (ოფიციალური ბიულეტენი ბათომის ბირჟისა 23 დეკ.) თათრული ქაღალდის ლირა ღირს 225 ათასი მან.-დან 240 ათას მან-დე ქართული ბონებით. ოქრო (თუმნიანი) 2,362,000—2,544,000 მან.

— **ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოში საქალაქო აღწერის მასალათა დამუშავების შესახებ.** ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭომ მოისმინა სტატისტიკის ცენტრალ სამმართველოს მმართველის გრიგორიანის მოხსენება სრულიად საქ. ქალაქთა მოსახლეობის აღწერის შედეგებზე და დაავალა სტატ. ცენტრალ სამმართველოს: საჩქაროდ მოითხოვოს ადგილებიდან საქ. აღწერის მთელი მასალები, (მათ შორის აჭარისტანის, აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთის) და დაუყოვნებლივ შეუდგეს ცენტრალ სამმართველოში მათ დამუშავებას, თავის უშუალო ხელმძღვანელობით.

აღნიშნულ მასალათა დამუშავების ხარჯთ-აღრიცხვის და სხვა ხარჯების ანგარიშში სტატისტიკის ცენტრალ სამმართველოს გაეხსნა კრედიტი 1922 წლ. ხუთასი მილიონი (500.000.000) მანეთი.

— **სამოქალაქო გადასახადების აკრეფის საქმე.** 26 დეკემბრიდან დაიწყო სამოქალაქო გადასახადის აკრეფა. სპეციალური ამკრეფები ყველა საუბნო კომისარიატებში იღებენ გადასახადს.

მანეთის კურსი 31 დეკემბრამდე მიღებულია 250.000 მან.

— **ხიდის გაკეთება სოფ. ქედაში.** (აჭარა). ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, საჭიროდ სცნო სოფ. ქედაში ხიდის გაკეთება, რაზედაც შუამდგომლობა ჰქონდა აღძრული აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს. სახალხო სამეურნეო უმაღლესმა საბჭომ პროექტის შესადგენად და აღნიშნულ ხიდის გასაყვანად წინადადება მიეცა მიავლინოს დანიშნულ ადგილას ინჟენერი ჰიჰინაძე.

— **დანგრეული გორი.** მიწის ძვრისაგან განადგურებულ ქალაქის აღსადგენად და ყველა საკითხების წინასწარ განსახილველად, რომელიც წამოჭრილია ამ საქმის ორგანიზაციის გარშემო, შესდგა სპეციალური კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს, სასწრაფოდ გამოიმუშავოს და წარადგინოს დასამტკიცებლად—სახალხო კომისართა საბჭოში—პროექტი გორის აღმდგენ მთავარ კომიტეტის მდგომარეობის შესახებ.

— **აკადემიურ თეატრების უზრუნველყოფა.** სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, განათლების კომისარიატის განკარგულებაში გადადებულია 10.724.800.000 მანეთი, აკადემიურ თეატრების შესანახავად მთელი საზამთრო 1922—23 წლების—სეზონის განმავლობაში. ამიერიდან აკადემიურ თეატრებში ყოველთვიურად დადგმება რვა უფასო წარმოდგენა მუშებისათვის.

— **კამათის გაგრძელება.** დღეს, დეკემბრის 28-ს, უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში მოხდება კამათის გაგრძელება ამხ. გიორგი თავზარაშვილის მიერ წაკითხული მოხსენების გარშემო. (თემა: „გ. საკაძის პრობლემა“). დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

# ბინის საკითხი ქ. ტფილისში

ქალაქის მცხოვრებთა აღწერამ უკვე მოგვცა ტფილისში ბინის საკითხის მდგომარეობის გარკვეული სურათი.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის მცხოვრებნი ზომიერად არ არიან განაწილებულნი ქალაქის ტერიტორიაზე.

| რაიონები. | ტერიტორია დესიატინა. | 1 დესიატინაზე საშუალოდ მიდის 1912 წ. | 1917 წ. |
|---|---|---|---|
| 1 | 705 | 34 | 32 |
| 2 | 108 | 179 | 169 |
| 3 | 152 | 113 | 81 |
| 4 | 47 | 381 | 305 |
| 5 | 430 | 34 | 42 |
| 6 | 567 | 18 | 27 |
| 7 | 205 | 106 | 113 |
| 8 | 207 | 88 | 101 |
| 9 | 291 | 99 | 87 |
| 10 | 143 | 197 | 152 |
| 11 | 226 | 88 | 105 |
| 12 | 201 | 67 | 75 |
| სულ ქალაქში | 3282 | 70 | 70 |

ამ რიგად, უფრო მჭიდროთ დასახლებულია მე 2, 3, 4 და 10 რაიონები.

უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ რაიონებში სახლების მოცულება სხვა რაიონებთან შედარებით, მეტია, რის გამოც ქალაქის ცენტრალურ ნაწილის ტერიტორია იტევს მცხოვრებთა უმეტეს ნაწილს; რომ შევადაროთ ეს ცნობები 1917 წლის ცნობებთან დავინახავთ, რომ ქალაქში მოხდა მცხოვრებთა ერთგვარი გადაჯგუფება, რის შედეგიც არის ცენტრის დატვირთვა, ხოლო განაპირა უბნების მცხოვრებთა რიცხვის საგრძნობი შემცირება.

ტფილისში აღნუსხულია 89,886 საცხოვრებელი ოთახები, მცხოვრებთა რაოდენობა აღნიშნულ ოთახებში უდრის 233,601 (ჯარი არ შედის) აქედან საშუალოდ ერთ ოთახზე მოდის 2,6 მცხოვრები.

რაიონების მიხედვით ერთ ოთახზე საშუალოდ მოდის:

1 რაიონში 2,0 მცხოვრები, 2 რ., 1,9 3 რ., 2.0 4 რ., 2,4 5 რ., 2,8 6 რ., 2,6 7 რ., 2,9 8 რ., 2,6 9 რ., 2,2 10 რ., 2,1 11 რ., 2,8 12 რ., 2,3. საერთოდ, მიღებული ნორმა, 2 ოთახზე 3 მცხოვრები არც ერთ რაიონში არ არის დაცული.

ჩვენ აქ გამოვიყვანეთ საშუალო რიცხვები, რასაკვირველია, შესაძლებელია სახლები უფრო იშვიათი მცხოვრებლები, მაგრამ ეს მხოლოდ გამონაკლისს შეადგენს.

საინტერესოა ვნახოთ რამდენი პროცენტით საცხოვრებელ ბინები უჭირავთ მუშა-მოსამსახურეებს.

| რაიონ. | საცხოვრ. ბინ.რაოდ. | მუშა-მოსამსახურეებს უჭირავთ. აბსოლიტ. რიცხ. | % |
|---|---|---|---|
| 1 | 4629 | 2188 | 47,3 |
| 2 | 3257 | 1691 | 51,9 |
| 3 | 2708 | 1552 | 67,3 |
| 4 | 3370 | 974 | 28,9 |
| 5 | 2629 | 994 | 37,8 |
| 6 | 2147 | 962 | 44,8 |
| 7 | 4379 | 1419 | 32,4 |
| 8 | 4564 | 1814 | 38,8 |
| 9 | 5236 | 2788 | 52,3 |
| 10 | 5471 | 3548 | 64,8 |
| 11 | 4697 | 3526 | 75,0 |
| 12 | 3037 | 2232 | 73,4 |
| ქალაქში | 46124 | 23638 | 51,2 |

ამ რიგად მთელ ქალაქში 51,2 პროცენტ. საცხოვრებელ ბინები უჭერიათ მუშა-მოსამსახურეებს, მხოლოდ მე 4,5,7 და რაიონებში მუშა-მოსამსახურეებს უჭერია ბინების მთელ რაოდენობის 50 პროცენტზე ნაკლები. დანარჩენ რაიონებში მათ უჭერიათ 50 პროცენტამდე და მეტი საცხოვრებელ ბინების საერთო რაოდენობისა.

ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც მუშა მოსამსახურენი და მათი ოჯახები (როგორც პროფკავშირის წევრები, ისე არა წევრები) საერთოდ შეადგენენ მცხოვრებთა არა ნაკლებ 50 პროცენტისა.

მაგალითად საბინაო განყოფილების მიერ 1921 წ. მაისში მოხდენილ რეგისტრაციის ცნობის მიხედვით ბინებში აღრიცხული მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი უდრიდა 63.607, ანუ 26,7 პროც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალოდ რომ ვიანგარიშოთ მუშის ოჯახი სამ სულად, ჩვენ მივიღებთ 190.821 ე. ი. მთელ მცხოვრებთა (238.206 სული)—80,2 პროც.

ქალაქის სტატისტიკურ ბიუროს მიმდინარე წლის ოქტომბრის სახელმწიფო საზოგადო და კერძო დაწესებულებების გამოკვლევის მიხედვით, ქალაქში აღრიცხული იყო 43.828 მუშა-მოსამსახურე: რომ მივიღოთ ოჯახის შემადგენლობა საშუალოდ 3 სულად, საერთოდ მივიღებთ 131.384 სულს, მუშა-მოსამსახურეებს, ანუ უკანასკნელ აღწერის მცხოვრებთა საერთო რიცხვის 56,3 პროც.

რადგანაც მუშა-მოსამსახურენი შეადგენენ მცხოვრებთა საერთო რაოდენობისას მუშა-მოსამსახურეებს სამართლიანად უნდა დაეკავებინათ საცხოვრებელი სივრცე არა ნაკლები 50 პროცენტისა.

ქალაქის აღმასკომის მიერ ამ უკანასკნელ 2 წლის განმავლობაში რამოდენიმეჯერ მოხდენილ შემჭიდროებამ მუშა-მოსამსახურეთა ბინებით დაკმაყოფილების მიზნით მოგვცა სწორი შედეგები: ამ ჟამად მუშა-მოსამსახურეებს უჭირავთ მთელი ბინების 50 პროც. მეტი.

აქედან ცხადია, რომ ქალაქის აღმასკომის მიერ მიღებული ნორმა საცხოვრებელ სივრცის 25 პროც. მუშა-მოსამსახურეთათვის დაჯავშნისა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, ვინაიდან მუშა-მოსამსახურეებს უჭირავთ საცხოვრებელი სივრცე 50 პროც. მეტი.

აღწერის ცნობების მიხედვით ცხადია, რომ ქალაქის აღმასკომის შემდეგი მუშაობა ამ მიმართულებით, არა თუ 25 პროცენტიან ბინების დაჯავშნით, არამედ საცხოვრებელ სივრცის 50 პროც. ფარგლებშიაც, ვერავითარ შედეგამდე ვერ მიგვიყვანს. უნდა ითქვას, რომ თავისუფალი საცხოვრებელი სივრცე ჩვენ არა გვაქვს.

ერთის მხრით, 1 ოთახზე საშუალოდ მოდის 2,6 სული, მეორე მხრით საცხოვრებელ ბინების 50 პროც.-ზე მეტი უჭერიათ მუშა-მოსამსახურეებს.

საბინაო განყოფილებას მეტი აღარაფერი დარჩენია გასაკეთებელი. მაგრამ არის ოთახების ფონდი, რომელიც ჩვენ მიერ არ არის საკმაოდ გამოყენებული. ეს არის დაწესებულებები.

ოქტომბრის სახელმწიფო დაწესებულებების გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ 43,828 მუშებს და მოსამსახურეებს უჭერიათ დაწესებულებებში 526,400 კვ. არშინი სივრცე) 7.916 ოთახი).

ამ რიგად თითო მუშა-მოსამსახურეზე დაწესებულებაში საშუალოდ მოდის 12 კვად. არშინი სივრცე.

ეს ნორმა ძალიან დიდია.

კანცელარიაში 7 კვად. არშინი სივრცე მოსამსახურეზე სრულიად საკმარისია (სხვათა შორის ეს ნორმა კანცელარიებში მიღებულია მოსკოვში), რომ მივიღოთ აღნიშნული ნორმა მოსამსახურეზე, სივრცე, რომელიც უჭერია ამ ჟამად სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს. შეიძლება შემცირებულიყო 224.604 კვ. არშინამდე, და ეს მოგვცემდა ჩვენ 3.362 ოთახს. აქედან რომ გამოვაკლოთ 30 პროც. დაწესებულებებში სხვა და სხვა კაბინეთების მოსაწყობად, მაინც დაგვრჩებოდა 2.354 ოთახი, რომლებშიაც შეგვეძლო მოგვეთავსებია 3.531 კაცამდე (2 ოთახზე 3 სული, რომ ვიანგარიშოთ) რომელთაც არა აქვთ საცხოვრებელი ბინა.

საცხოვრებელ ბინების შემჭიდროების საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. გარდა ამისა ზოგიერთი დაწესებულებანი (საბავშო სახლები) საბავშო საავადმყოფოები და სხვა (შეიძლება საქმის დაუბრკოლებლივ გადატანილ იქმნეს ქალაქის განაპირა უბნებში; ეს გამოიწვევს ცენტრის განტვირთვას ბევრ დაწესებულებისაგან, რომელთაც უკავიათ უზარ-მაზარი შენობები.

გარდა ამისა ეს ზომა შესაძლებლობას მოგვცემდა დაწესებულებებთან მიჯაჭვულ მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფების გადანაწილების. დაწესებულებებთან ერთად ისინი გადავიდოდენ ქალაქის განაპირა უბნებში, რითაც მოიგებდა ცენტრიც და განაპირა უბნებიც. (გამოცოცხლების მხრივ) და თვით დაწესებულებებიც განთავისუფლდებოდნენ ქალაქის ხახუთულ ატმოსფერისა და ცენტრის მრავალ სართულიან ქვის შენობათა ჰაერის ანორმალურ ვენტილიაციისაგან.

ა. რუხაძე.

## გერასიმე არსენას ძე ტაბიძე

უდროოდ მოსწყდა წუთი სოფელს და ჩვენგან დაუვიწყარი მასწავლებელი, გერასიმე არსენის ძე ტაბიძე. გერასიმე ჯერ მასწავლებლობდა რაჭის მაზრაში, შემდეგ კი ტობანიერის მაღალ დაწყებით სასწავლებელში ხუთი წლის განმავლობაში, დაუღალავად ემსახურებოდა ამ ხნის განმავლობაში ამ საზოგადო საქმეს. ოღონდ მოსწავლეებისათვის მიეცა ბედნიერი დღე და მეტი არა უნდოდა რა, ყოველ დღე რვა ვერსი უნდა გაევლო წყალ ტალახებში, მაგრამ ამას არაფრათ არ აგდებდა. ასე ლაპარაკობდა: რათ მინდა მე ისეთი სწავლა, ისეთი განათლება, თუ სხვას არაფრათ არ წავადგებიო, დეკემბრის შვიდს სამუდამოდ გამოესალმა წუთი სოფელს დაუვიწყარი გერასიმე რომელიც დაასაფლავეს დეკემბრის 10-ს. ხალხი აუარებელი დაესწრო და აგრეთვე ტობანიერის შრომის სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები მუსიკით.

ღირს შესანიშნავი სიტყვა უთხრა ცივ სამარის კარებთან მასწავლებელ შალვა გუმბრიძემ, სიმონ სულაბერიძემ და 8 ჯგუფის მოწაფე ვალოდია ნაფეტვარიძემ.

განისვენე სამუდამოთ, ძვირფასო და დაუვიწყარო მასწავლებელო.

მარად იყოს თქვენი ხსენება.

ბაჟული უბედურიძე.

## საერთაშორისო ფაშიზმი

რამოდენიმე თვის წინად ჩვენ სენსაციებათ ვისმენდით ფაშიზმის გამოსვლას იტალიაში; ყველას უკვირდა ამ თავაშვებულ ბრბოს ასე თავისნებური თარეში და რბევა:—მაგრამ როდესაც ეს ძალა იმდენად მძლავრი აღმოჩნდა, რომ შესძლო ძალა-უფლების ხელში ჩაგდება, —აქ უკვე ყველასათვის თვალსაჩინო გახდა ხასიათი და მიზნები ამ მოძრაობისა.

ფაშიზმის ბუდეთ და ნიშნის მიმცემათ დღეს იტალია ითვლება; აქ მათ ხელში ჩაიგდეს ძალა-უფლებასთან ერთად პროფკავშირებიც, მუშათა ორგანიზაციებშიც. ფაშიზმს სურს მთელ „ხალხს ემსახუროს“ და ამიტომ გამოდის ის ვითომდა დამცველად როგორც კაპიტალისტებისა ისე მუშების. იტალიური ფაშისტური პროფკავშირები მიზნათ ისახავენ კაპიტალიზმის განვითარებას და ეს განვითარება მათ მიაჩნიათ ყოველივეს საფუძვლად. მაგრამ რაც მთავარია,—ისინი წინაალმდეგი არიან კლასთა ბრძოლის, რის მაგივრათაც პიროვნებათა თავისუფალ მეტოქეობას აყენებენ. ფაშისტები წინაალმდეგი არიან საერთო გაფიცვის და პროფკავშირებში აერთიანებენ მთელ ხალხს, რომელი გულუბრყვილო ვერ შესძლებს დღეს, ამ ნაჭუჭის ქვეშ არსებულ მიზნების დანახვას და გაგებას; სანამ უნდა უხვიონ თვალი მუშათა კლასს კლასიური ბრძოლის გარეშე შექმნილ პროფკავშირებით... ვისთვის არ იქნება დღეს თვალსაჩინო. რომ ფაშიზმის სახით მუშათა კლასს ევლინება მისი უდიდესი ისტორიული მტერი.

ფაშიზმი საერთაშორისო მოვლენად გადაიქცა. ახლა უკვე ჩვეულებრივ მოვლენად არის გადაქცეული ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში მსგავსი ორგანიზაციების შექმნა და მოძრაობა. პოლონეთმა ამ მხრივ საუკეთესო ადგილი დაიჭირა; უკანასკნელმა ამბებმა მძლავრათ გამოაჩინა იტალიური ფაშიზმის ორგანიზაცია ჯერ კიდევ 1920 წლიდან ისხმებოდენ აქ, იტალიის მსგავსათ, ფაშისტური ძალები. ვარშავაში შესდგა „საზოგადოებრივი თვითდახმარების“ ორგანიზაცია, რომელმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო გაფიცვების წინაალმდეგ ბრძოლაში. აქვე ხწარმოებს ფაშისტურ ინსტრუქტორების მომზადება, რათა შემდეგ შესაძლებელი გახდეს მათი გამოყენება მთელ პოლონეთზე განაწილებით. პოლონური „შლიახტიც“ თავის ფრონტს ამაგრებს და „საზოგადოებრივი წესიერების საზოგადოების“ აარსებს, რათა შეიარაღებული ძალებით დაიცვას თავისი ინტერესები. ყველა ორგანიზაციებში უმთავრეს ძალას წარმოადგენენ ყოფილი ოფიცრები და სამხედრო პირნი და ყველა ორგანიზაციების მატერიალური რესურსების სალარო მემამულეების და ბურჟუაზიის ჯიბეებია პოლონური ფაშიზმი საერთაშორისო ხასიათის ამოცანებს ისახავს და ემზადება საერთო გამოსვლებისათვის.

სხვა ქვეყნებშიც მზადება და ნიადაგის შემზადებაა: აქ მოქმედობს ორგანიზაციული ხელი და გარკვეული მიზნები. საფრანგეთში ახალგაზდა როალისტების და „სამოქალაქო გვარდიის“ მოძრაობა, რომლებიც მთავრობის დახმარებით და სიმპატიით სარგებლობენ. ფეხს იდგამს ფაშიზმი შვეიცარიაშიაც. შვეიცარიის ბურჟუაზიის რეფერენდუმში გამარჯვების შემდეგ კაპიტალზე ხარკის შემოღების შესახებ, ლოზანაში დაარსებულ იქნა ნაციონალისტური კავშირი „წესიერების და სიწყნარის დაცვისა“. ამ ორგანიზაციას სექციები აქვს სხვადასხვა ქალაქებში და გამოდის აშკარა ფაშისტური ლოზუნგებით. გერმანიაში ფაშისტური ორგანიზაციები იქმნებიან სხვადასხვა სახელწოდების ქვეშ: „ორგეშ“, „კონსულ“ და სხ. ფინლიანდიაში შიუცორების მოძრაობა მსგავსივე ხასიათისაა. ასევე უნგრეთში, შვეციაში, ლატვიაში და სხ.

ფაშისტური მოძრაობა ფართოვდება და მძლავრდება. მასში ერთიანდებიან ყველა ექსპლოატატორი, რეაქციონური კლასები და სხვა და სხვა ხულიგანური მიზნებით ამოძრავებული წრეები. მათი მიზანი ერთია: მოსპონ მუშათა კლასის ძალა და ორგანიზაციები; მოუსპონ მათ ბრძოლის უნარი და საშუალება და ამით შესაძლებელი გახადონ აღსდგეს პლუტოკრატიზმისა და ოლიგარხიის ბატონობის საფუძველი. დღეს თუ მუსოლინი პარლამენტს „დასვენებისაკენ“ მოუწოდებს' ხვალ შესაძლებელია ეს უკანასკნელი სრულიად აღარ იქნეს საჭირო და მსგავსივე მოვლენა დავინახოთ ყველა იმ ქვეყნებში, სადაც ფაშიზმს საშუალება მიეცემა ძალა-უფლების დაპატრონებისა.

უდიდესი ღვაწლი ასეთი მდგომარეობის შექმნაში მიუძღვით იმ ხალხს, რომელნიც მუშათა კლასის ფირმით დაიარებიან და მუდამ მოღალატურ და გამცემლურ პოლიტიკას ეწევიან ამ უკანასკნელთა მიმართ. შემთანხმებელმა სოციაციალიზმმა უდიდესი დახმარება გაუწია შეგნებით თუ შეუგნებლად ფაშიზმის გაძლიერებას და განმტკიცებას. იტალიაში ფაშიზმი მოღონიერდა კოალიციის ზურგს უკან, სადაც შემთანხმებელი სოციალისტები მეგობრობას უწევდენ ბურჟუაზიულ დემოკრატიას. ასევე დიდი როლი შეასრულა ფაშისტურ მოძრაობის განვითარებაში პოლონელ სოციალ-შემთანხმებლების პარტიამ. პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ. ამ პარტიის შეიარაღებული რაზმი გადაიქცენ რევოლიუციის წინაალმდეგ საბრძოლველ იარაღათ და ამ რიგათ გზა გაუკვლიეს ბურჟუაზიასა და „შლიახტას“ ფაშიზმის ორგანიზაციისაკენ. მაგრამ გაძლიერებული ფაშიზმი არც მათ ინდობს ვინაც ერთ დროს მის დამხმარეთა და მარჯვენა ხელათ გამოდიან და პილსუდსკის პარტია და მისი ბეჭვდითი ორგანო ისევე ხდება დარბევის საგნათ, როგორც მუშათა სხვადასხვა ორგანიზაციები. ეს გარემოება უდიდეს გაკვეთილად შეიძლება იქნეს გამოყენებული მთელი ევროპის მუშათა კლასისათვის, რათა შესაფერათ დააფასონ იმ ხალხის ღვაწლი, რომელთაც დაღუპვის კარამდე მიყავთ მუშათა კლასის ბრძოლის საქმე.

რას ეუბნება არსებული ვითარება საერთაშორისო მუშათა მოძრაობას? საერთაშორისო ფაშიზმი დღითი-დღე იარაზმება და გადამწყვეტ ბრძოლებისათვის ემზადება; მის გვერდით სდგას ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ჯარსბი და პოლიცია. მუშათა კლასის მძლავრმა ენერგიამ კიდევ უფრო მტკიცე გაერთიანება უნდა ჰპოვოს თავიანთ ორგანიზაციებში. შექმნილმა მდგომარეობამ მას უნდა შეაგნებიოს, რომ ძალის წინაალმდეგ ძალის დაპირისპირებაა საჭირო; მისი უნარი და ძალა სავსებით უნდა ეკუთვნოდეს რევოლიუციონურ პარტიებს და პროფკავშირებს მუშათა კლასის ინტერესებისათვის ბრძოლაში თავის დასადებად..

განი.

### წერილი რედაქციის მიმართ

მოქ. აკაკი გოგიჩაიშვილის წერილი მოთავსებულია გაზ. „ტრიბუნა“-ს 380 №-ში, სიმართლეს არ შეეფერება.

თანახმად სტატისტიკურ ცენტრალ სამართველოს ინსტრუქციებისა, თანხა ეგზავნებოდათ ქალაქებს მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ამ ქალაქებიდან მოდიოდა ცნობა აღწერის დამთავრების შესახებ და მფლობელობით, ბინების და მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ. ქალ. ლანჩხუთიდან სტატისტიკის სამართველომ ეს ცნობები მიიღო 8 დეკემბერს, საღამოს და 11 დეკემბერს, დილას სათანადო თანხა უკვე გადატანილი იყო ფოსტით ქალ. ლანჩხუთისათვის.

სტატიკის ცენტრ. სამართველო

**დაკარგა** პირადობის მოწმობა № 208 სამათემათიკო დარგის სტუდენტ თამარ კიკილაშვილმა ჩაითვალოს გაუქმებულათ.
№ 365

**დოქტორი ბ. მეგრაბიანცი**
„უ. ახიხენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა“
შინაგანი და ვენერიული ავათმყოფობანი. რენტგენის სინათლის— ელექტრონის წამლობის კაბინეთი.
იღებს 9—12 ს. დილ. და 5—7 ს. საღ.
№ 215 ბებუთოვის ქუჩა № 23. 35

**სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტი**
აცხადებს კონკურსს ბუხჰალტერიის სპეციალური ლორმების
(საბანკო, სამუნიციპალო და სხ.)
მასწავლებლის ადგილის დასაჭერად.
განცხადება უნდა წარდგენილ იქმნეს უნივერსიტეტის სამდივანმწიგნობროში სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის საქმის მწარმოებელთან 1923 წლის 20 იანვრამდე.
აუცილებელი პირობები:
1. ქართული ენის ცოდნა.
2. უმაღლესი სპეციალური განათლება, ან უმაღლესი საზოგადო განათლება და სპეციალური გამოცდების ჩაბარების მოწმობა ბუხჰალტერიაში.
საჭიროა წარმოდგენილ იყოს curriculim vitae და ცნობები დაბეჭდილი შრომების შესახებ თუ ასეთები მოეპოვება მთხოვნელს.
1—1 364 სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა.

**საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტისაგან**
საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი ამით აცხადებს საყურადღებოთ
იმ ანგარიშვალდებულ პირთა და დაწესებულებათა, რომლებზედაც ითვლება გაუმართლებელი ავანსები და ვალები, აუცილებლად უნდა გაამართლონ ავანსები სათანადო გასამართლებელი საბუთების წარმოდგენით (თუ ავანსი გაუხმარებელია ფულად უნდა წარმოადგინონ) და ვალები გადაიხადონ მომავალ 1923 წ. 1-ლ იანვრამდე. წინაალმდეგ შემთხვევაში საქმე გადაეცემა საქართველოს საგანგებო კომისიას სათანადო ზომების მისაღებად.
საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი.
22 დეკემბერი 1922 წ. ქალ. ტფილისი 3—3

**საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტისაგან**
საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტი წინადადებას აძლევს მოქ. იოსებ ანთაძეს გამოცხადდეს პირადად მთავარ კომიტეტში მომავალ 1923 წლის 1 იანვრამდე მასზე დარჩენილ ანგარიშების გასასწორებლად. წინაალმდეგ შემთხვევაში საქმე გადაეცემა საქართველოს საგანგებო კომისიას სათანადო ზომების მისაღებად.
საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი.
25 დეკემბერი 1922 წ. № 239

**საქართველოს სახალხო ბანკის გამგეობა**
თანახმად ბანკის საბჭოს დადგენილებისა 12 დეკემბრის თარიღით
ამით აცხადებს
კლიენტების საყურადღებოთ,
რომ იმ პირთ,
ვინც გადაავიწყა ვალის შემოტანის
დრო
შეუძლიათ
ვალი გადაიხადონ
ქართული ბონებით
ამა წლის ოცდა ათ დეკემბრამდე
ამის შემდეგ კი, თანახმად მთავრობის დადგენილებისა
№ 61 თარიღით,
მათ ვალი გადახდემათ ოქროს იმ კურსით
რომელიც იყო ვალის გახავლის დღეს.
ეს განკარგულება არ ვრცელდება იმ კლიენტებზე.
რომელთაც მიცემული აქვთ ბანკისადმი ვალდებულება ოქროთი ვალის გადახდის შესახებ.
სახალხო ბანკის გამგეობა.
№ 240 2—1

№ 17

# ახალგაზრდათა ხმა

№ 17

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოსწავლე ახალგაზრდობა და მემარჯვენენი

მემარჯვენე პარტიებმა ისარგებლეს ახალგაზრდათა ოპოზიციონური სულისკვეთებით და ხელისუფლების პოლიტიკის დეფექტებზე მითითებით შეეცადენ მის გამოყენებას პოლიტიკურ ბრძოლის პროცესში. ამ მიზანს ნაწილობრივად კიდეც მიაღწიეს და „შესძლეს „გამოსვლების“ მოწყობა მოწაფეთა და სტუდენტთა შორის, დღეს მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილია. მოსწავლე ახალგაზდობაში უკვე ნიადაგი გამოეცალა ჭორების პოლიტიკას, თუ პოლიტიკურ ჭორებს და იგი თავის პირდაპირ დანიშნულებას ემსახურება.

სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტობა ყოველგვარ წინააღმდეგობის გარეშე დაემორჩილა სახალხო განათლების კომისარიატის დადგენილებას უნივერსიტეტის გაწმენდის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ამ გაწმენდის ინსტრუქციას აქვს საკმაო დეფექტები რომელიც ჩვენ თავის დროზედ აღვნიშნეთ.

ეს ფაქტი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მოსწავლე ახალგაზდობაში მემარჯვენე პარტიებმა უკვე დაჰკარგა ყოველგვარი გავლენა და ამით ბოლო მოეღო მათ მიერ ახალგაზრდობის გამოყენებას.

ჩვენი ახალგაზრდობა არც იმდენად უმწიფარია პოლიტიკურად, რომ მას კრიტიკულად არ შეეძლოს მოვლენების შეფასება და არც კონტრ-რევოლიუციონურია იგი, რომ მემარჯვე პარტიებს ორგანიულად შეუკავშირდეს.

დღეს უკვე თვალსაჩინოა მოსწავლე ახალგაზრდობის გადატეხა. ეს მოვლენა აუცილებლად მოსალოდნელი იყო და ჩვენც იმ თავითვე აღვნიშნავდით ამას.

მოსწავლე ახალგაზრდობა არ შეიძლება პოლიტიკის გარეშე, ნეიტრალურ მდგომარეობაში დარჩეს. იგი კიდევ წინ გადადგამს ნაბიჯს და იქ მიიტანს თავის ძალღონეს, სადაც დაინახავს ჭეშმარიტ დამცველს მშრომელი ხალხისა და საქართველოს თავისუფლებისას.

მემარჯვენე პარტიების დამარცხების ფაქტები უკვე ყველასათვის თვალსაჩინოა. მოსწავლე ახალგაზრდობა უკვე სწორ გზას ადგება და იგი სავსებით გასწყვეტს ყოველგვარ კავშირს მემარჯვენე პარტიებთან.

ეს უნდა იცოდეს ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა და ეს უნდა ახსოვდეს ყველას! ამით ჩვენ მეტ გავლენას ვიქონიებთ ქართველ რევოლიუციონურ ახალგაზრდობაზე და იმ გარიყულ ახალგაზრდებზედაც, რომლებსაც დღესაც ესიზმრება მენშევიკური „სამოთხე“. ჩვენი შრომა მეტ ნაყოფს მოგვცემს და ჩვენი პარტიის მომავალიც გაბრწყინდება.

დ. კობიძე.

## ახალგაზდობის ზნეობრივ ამაღლებისათვის.

ახალგაზდობის სულიერ და გონებრივ განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი ზნეობრივი სიმაღლე და სისპეტაკე. ახალგაზდობის განვითარებისათვის არ არის საკმარისი მარტო ინტელექტუალური მუშაობა, სწავლისა და ცოდნის მიღება. ზნეობრივი აღზრდა და გაწვრთნა პედაგოგიკის საფუძველი და გამოსავალი წერტილია, ფუჭი, მცონარე და პარაზიტი იქნება ის ახალგაზდობა, რომელიც ვერ მიიღებს ზნეობრივ აღზრდას და სისტემატიური გაწვრთნის და მუშაობის შემდეგ არ ეზიარება მორალის მაღალ პრინციპებს.

დგას თუ არა დღეს ჩვენი ახალგაზდობა ზნეობის ამ მაღალ საფეხურებზე და აკმაყოფილებს მორალის ელემენტალურ მოთხოვნილებათ თუ არა? სამწუხაროდ ამ მხრივ ემტად ცუდ სურათს ვხედავთ. არა თუ შეგნება არის ამ ელემენტალური მოთხოვნილებების, არამედ სრულიად საწინააღმდეგო მოვლენა, რომელიც ამდაბლებს და აფუქსავატებს ახალგაზდობის უმთავრეს რიგებს. განსაკუთრებით ეს ითქმის ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობის შესახებ. მეტად სავალალო მდგომარეობაა დღეს ჩვენს სასწავლებლებში ამ მხრივ. აქ ახალგაზდას თითქმის დაკარგული აქვს ჭაბუკური სიფაქიზე და სიწმიდე; მათ რიგებს იშვიათათ თუ აერთოვანებს რაიმე გონიერი და მიზანშეწონილი საქმიანობა. აქ არ სჩანს გატაცება იდეებით, მუშაობით,—მომავლით. ასეთია მდგომარეობა არა მარტო დაბალ და საშუალო სასწავლებელთა მოსწავლეებში, არამედ ნაწილობრივ უმაღლესებშიც.

რა არის ყოველივე ამის მიზეზი? დღეს ახალგაზდათა შორის მუშაობა სავსებით მიდუნებულია. არ არსებობენ მასში არა მარტო სამეცნიერო და სხვა ხასიათის წრეები, არამედ უბრალო ლიტერატურული ხასიათის წიგნების კითხვა და გარჩევაც კი არ სწარმოებს. ჩვენ ახალგაზდობას აღარა ყავს მომუშავენი, რომლებიც წინათ თვით ახალგაზდობაშიაც მრავლათ იყო და გარედანაც მოდიოდენ. ჩვენი მასწავლებლობა თითქმის ჩამოშორდა ახალგაზდობას და ვეღარ აწარმოებს მათ შორის ისე ნაყოფიერად მუშაობას, როგორც წინეთ იყო. ეს ერთი მხრივ ასახსნელია იმ გარემოებითაც, რომ ჩვენ მასწავლებელთ დღიური ლუკმის შესახებ ფიქრი უფრო მეტად უწევთ, ვიდრე გონებრივი მუშაობა.

ამიერიდან ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. შეუძლებელია ჩვენი მომავალი თაობის ახალგაზდის საქმე შესაფერ დონეზე არ იქნეს დაყენებული და მოწესრიგებული. მუშაობაა საჭირო არა მარტო მის გონებრივ ამაღლებისათვის, არამედ კიდევ უფრო მეტად მისი ზნეობრივი მხარის გასაუმჯობესებლად და ასამაღლებლად. ჩვენ ახალგაზდათა პარტიულ ორგანიზაციებს პირდაპირ ვალდებულებათ უნდა ჩაეთვალოსთ ამ მხრივ მუშაობა. ცოცხალი მაგალითი უნდა იქნეს მიცემული იმ წრეებისათვის, რომელნიც წესიერ გზას ამცდარან და დამდაბლებულან. ყოველი ჩვენი პარტიული ახალგაზდის მუშაობა და საქციელი სამაგალითოთ უნდა იქნეს მთელი ახალგაზდობისათვის. საჭიროა მუშაობის გაჩაღება როგორც სხვადასხვა ხასიათის წრეებში, ისე წრეებს გარეთაც, სასწავლებელში, ქუჩაში, საზოგადოებაში. ამხანაგურმა სასამართლომ უნდა მიუსაჯოს სასჯელიმათ, ვინც საწლვარს არ დაუდებს უზნეო საქციელს და ვინც შესაფერ სიმაღლეზე არ შეინარჩუნებს ახალგაზრდის და მოსწავლის სახელს. ამ გზით მაინც უნდა მოხდეს შესაძლებელი მდგომარეობი გამოსწორება და ახალგაზდობის მორალური აღზრდის დაწყება. აქეთ მოუწოდებთ ჩვენს პარტიულ ამხანაგებსაც მუშაობისათვის.

პროვინციელი გ—ა.

## ჩვენი მომავალი

ცხადია, რომ საქართველოს სამი წლის დამოუკიდებლად არსებობამ, ქართველ ახალგაზდობის უდიდეს ნაწილს გულში გაუღვივა ეროვნული გრძნობები...

საკმაო ნაწილი ქართველი ახალგაზრდობისა—პოლიტიკური ცვლილებების გაიო ბურუსში იმყოფება.

პოლიტიკური გადატეხა უნდა მოხდეს შეგნებით. უმრავლესობისათვის ჩვენი პარტია უცნობია და ამისათვის მიუღებელი. ბევრ მათგანს გონია, ვითომც ჩვენ ქართველ მშრომელ ხალხს ვღალატობდეთ; ვითომც ჩვენ არ გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო, არ ვიცავდეთ ჩვენს ეროვნებას... პირიქით ჩვენ მუდამ თავგანწირულად ვიცავდით და ვიცავთ ჩვენი ერის უფლებებს და მშრომელი ხალხის ინტერესებს... ჩვენ მუდამ ვდარაჯობდით და ვდარაჯობთ დიდ რევოლიუციას!

ყოველმა ქართველმა ახალგაზრდამ, რომ სწორი წარმოდგენა იქონიოს ჩვენზე და ჩვენს მსოფლ-მხედველობაზე ამისათვის საჭიროა ჩვენი გაზეთის გავრცელება.

თუმცა პროვინციებში ჩვენს გაზეთს ძალიან იშვიათად შეხვდებით, მაგრამ აღსანიშნავია რომ ჩვენი პარტია თანდათან ფართოვდება, რაიცა აბრაზებს მოწინააღმდეგეებს: ჩვენი პარტიის გაფართოვება კი დამოკიდებულია ჩვენს სიმტკიცეზე. ჩვენ გვმართებს მეტი დაკვირვება ვიქონიოთ თანამედროვე საქართველოზე დღეს, ყველა დაბებში ყველა სოფლებში შეიძლება დაარსდეს ჩვენი ორგანიზაციები; ამისათვის—როგორც ქალაქელ, ისე პროვინციელ ახალგაზრდა პარტიულ ამხანაგებს მოუწოდებთ მეტი მუშაობისაკენ.

ერი და სოციალიზმი იყო და ერი და სოციალიზმი უნდა დარჩეს ჩვენი ემბლემა...

ჩვენ არავის უფლებას არ მივცემთ, რომ შელახოს ჩვენი ეროვნება, ჩვენ არავის არ ვაპატიებთ ქართველი ერის წმინდათა-წმინდის შეურაცყოფას.

## უნივერსიტეტის ცხოვრება

**,,ფიზიკური-მათემატიკური წრე‘‘.**

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა კუპრაძემ 20 დეკემბერს წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე: „ოთხგანზომილების სივრცის ტრანსლიაცია და ლორენტცის გარდაქმნის ფორმულები“. ამ მოხსენების არსებითად განხილვას აქ არ შეუდგებით; გაკვრით ვიტყვით მხოლოდ, რომ მოხსენება დამაკმაყოფილებელი იყო. ააშკარავებდა მომხსენებლის მომზადებას და გატაცებას, რაც აუცილებელია წინსვლისათვის. მოხსენება დატვირთული იყო ფორმულებით, რაც აუდიტორიის უმრავლესობისათვის მძიმე მოსასმენი იყო, მაგრამ ვიმედოვნებთ მომავლისათვის ამ ნაკლს გამოასწორებს,—შესძლებს ალლო აუღოს აუდიტორიას...

ასეთი სამეციერო ხასიათის მოხსენებები აუცილებლად პროგრესიული ნაბიჯია უნივერსიტეტის ცხოვრებაში....

1913 წლიდან მოწაფეთა ცხოვრება ნორმალურ კალაპოტიდან ამოვარდა ომის პირველ ხანებში „პრაპორშჩიკობით“ გატაცება ხშირი მოვლენა იყო. მართალია რევოლიუციამ დაანგრია ბიუროკრატიული სკოლის კედლები, მოწაფეობა დაეწაფა პარტიულ მუშაობას, მომავალ ჩინოვნიკების მაგიერ, რევოლიუციონერები, მებრძოლები იზრდებოდნენ ჩვენს წინაშე, მაგრამ „ვარდი უეკლოთ არავის მოუკრეფია“ მუდმივმა პროპაგანდისტობამ, მუდმივმა მიტინგებმაც წმინდა მეცნიერებას ზიანი მოუტანა. ახალგაზრდობამ ვერ შეათავსა პოლიტიკურ მოშაობასთან მეცნიერული მუშაობა.

დღეს, ვინც გადაავლებს თვალს განვლილ გზებს ჩამორჩენილობას იგრძნობს, დღეს ხშირად გაიგონებთ: „მაგას ძველი ოთხკლასიანი აქვს გათავებული“ და თქვენ გრძნობთ, როგორ ხაზგასმით ამბობს ამ „ძველს“.

ქართულ უნივერსიტეტში სამეცნიერო წრეების არსებობა ქართული კულტურის წინსვლის ნიშანია.

ერთ ასეთ სამეცნიერო წრეს საფუძველი ჩაეყარა ამა წლის 1 დეკემბერს სახელდობრ „ფიზიკურ მატემატიკურს“ წრის გახსნას დაესწრენ პროფესორები: ა. რაზმაძე, ა. ხარაძე. ნ. მუსხელიშვილი, მათ აღნიშნეს წრის დიდი მიზანი დასახეს მომავალი მუშაობის გეგმა და მოუწოდეს სტუდენტობას მუყაით მუშაობისაკენ.

სტ. კუპრაძის მოხსენებას შემდეგ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს ფროფესორებმა ნ. მუსხელიშვილმა, ა. რაზმაძემ, გ. ნიკოლაძემ.

ჩვენ ვიმედოვნებთ—თუ ასეთი მჭიდრო კავშირი იქნება მომავალშიაც სტუდენტებსა და პროფესორებს შორის, ზემო აღნიშნული წრე სასურველ ნაყოფს გამოიღებს.

სიმ. ჭეიშვილი.

## ახალგაზრდა მუშის ხმა

ძველი პარტიულო ორგანიზაციების ნაკლი უმთავრესად მასში იყო, რომ ინტელიგენტურ წრეებს არ სცილდებოდნენ ხოლმე და არ მუშაობდენ ჩვენს, მუშათა წრეებში. ამ ნაკლით იყო სნეული პარტიული ახალგაზრდათა ორგანიზაციებიც. ეს ორგანიზაციები სავსე იყო მოწაფეებით, სტუდენტობით მაგრამ მასში ვერ ნახავდით ჩვენი წრის წევრებს, ახალგაზდა მუშებს. დღეს მუშებს შორის მუშაობა პარტიის ორგანიზაციებს. როგორც სოფლად, ისე ქალაქად დაწყებული აქვთ და საკმაოდ კარგადაც მიმდინარეობს; ხოლო ახალგაზდათა ორგანიზაციების მხრით კი ეს მუშაობა არ დაწყებულა. ამავე დროს კი ჩვენს ახალგაზრდა მუშათა მრავალია ისეთი, რომლის მსოფლმხედველობა და მწამსი სავსებით თანაზიარია მემარცენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მრწამსისა; ახალგაზდა მუშებს შორის ხშირად აქვს ადგილი მდგომარეობის და მომენტის ისეთ შეფასებათ, რომელიც სოც.-ფედერალიზმის მრწამსიდან გამომდინარეობს. ამიტომ აუცილებელი არის მუშაობის დაწყება ამ მხრითაც. ახალგაზრდა მუშები მზად იქნებიან მთელი თავისი ყურადღებით მოისმინონ ის, რასაც მას აუხსნიან, რასაც მას შეაგნებინებენ.

ახალგაზრდა მუშებში მუშაობის დაწყება საშვალებას მოგვცემს ჩვენ, ჩვენი მწუხარება და ტკივილები გაუზიაროთ პარტიას, მის ახალგაზრდობას და შეერთებული ძალებით ვეცადოთ ნაკლის შევსებას, გარდა პოლიტიკური ხასიათის მუშაობის აქ საჭირო არის კულტურული მუშაობის წარმატებაც. პარტიას საკმაო ინტელიგენტური ძალა ყავს, რომ ეს მოთხოვნილება დაგვიკმაყოფილოს, გამართოს ჩვენთვის საუბრები და მოხსენებები და გაგვაცნოს არსებულ ვითარებას. ამიტომ ჩვენ მოუწოდებთ პარტიულ ახალგაზრდობას, როგორც ცენტრებში, ისე პროვინციაში,—გააჩაღონ მუშაობა ახალგაზდა მუშებში; მივიდენ მათთან და გვერდში ამოუდგენ თავიანთ მოძმეთ.

ახალგაზდა მუშა.

## პარტიული მუშაობისათვის

პროვინციის ამხანაგებს დიდი მუშაობა ევალებათ, მუშებსა და გლეხებში ფართოდ გზა უნდა გაიკაფოს ჩვენმა ორგანიზაციებმა. ახალგაზრდა გლეხების ორგანიზაციები უნდა აღმოცენდეს ჩვენს მოწაფურ და სტუდენტურ ორგანიზაციების გვერდით.

მართალია საქართველოს სინამდვილე არ გვაძლევს პირობებს მუშური ორგანიზაციების ფართოდ განვითარებისათვის, მაგრამ გლეხური ახალგაზდობა კიდევ მეტად საჭიროებს პოლიტიკური და კულტურული მუშაობის გაცხოველებას.

ჩვენი გლეხის ოჯახი მოწყურებულია ცოდნას, იგი გაფაციცებით თვალყურს ადევნებს „ნასწავლ კაცს“, რომ მისგან რაიმე გაიგონოს. პროვინციელმა ამხანაგებმა აქტიური მუშაობა უნდა გააჩაღონ ამ მხრივ და უნდა შეიჭრენ ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელია.

ამ მხრივ მუშაობა უკვე დაწყებულია მნიშვნელოვან ცენტრებში.

მშრომელი ხალხი უკვე განთავისუფლდა იმ ყალბი შეხედულებისაგან, რომ ფედერალისტთა პარტია ვითომც ბურჟუების პარტია იყოს. ამიერიდან მაინც ყველასაგან ცხადია, რომ ჩვენს რიგებში მხოლოდ ჭეშმარიტ რევოლიუციონერებსა და მუშათა ელემენტებს აქვს ადგილი.

ძველი გზა დატოვებულ უნდა იქნეს, როგორც პოლიტიკურად ისე ორგანიზაციულად და სასტიკად უნდა იქნეს დაცული ორგანიზაციების სიწმინდე და მასში კი მკაცრი და მტკიცე დისციპლინა.

მართალი იყო **არჩილი** როდესაც სოც.-ფედერალისტთა შესახებ ამბობდა რომ პარტია დაავადმყოფდა არისტოკრატიულ და ბურჟუაზიულ ელემენტებით, არჩილის მიერ წამოყენებულ დებულება მხოლოდ მე-6 კონფერენციამ გაახორციელა. პარტიის ერთმა ნაწილმა სიმტკიცით შესდგა საღ სოციალისტურ ნიადაგზე.

ახალგაზრდობამ და კერძოდ მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობამ, კარგად უნდა შეიგნოს და შეაფასოს ეს მოვლენა და მან უნდა დაინახოს ჭეშმარიტი ქომაგი ქართველ მუშათა ინტერესებისა.

პროვინციელმა ამხანაგებმა ხელი უნდა შეუწყონ ამ მუშაობას.

ი. გედევანიშვილი.

## მოწაფეთა სინამდვილეში*)

**(პასუხად ირ-დის).**

ყველა ადამიანი მორალურ მოვალეობად სთვლის, როდესაც მის თავმოყვარეობას, ანდა პატიოსნებას ლახავენ უმგვანო სიტყვით, სათანადო პასუხი გასცეს. სწორედ ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით მოქ. „ირ-დის“ წერილით, რომელიც მოთავსებული იყო „ტრიბუნის“ № 350 ძალიან საკვირველია, რომ დღევანდელ მომენტში, მოწაფეს ასე უარყოფითად შეხედონ. ძალიან საკვირველია ის ფაქტები, რომელიც მოყვანილი აქვს „ირ-დის“. ამას სათანადო პასუხი უნდა გაეცეს. „ირ-დი“ აღნიშნავს: „მთვრალი, გალიფებით და საცეკვაო წაღებით ესტუმრება ის (მოწაფე) სკოლას“.

უნდა აღვნიშნო რომ მოწაფე შეიძლება მოდის „გალიფეთი და საცეკვაო წაღებითაც“, მაგრამ რა არის აქ უარყოფითი? განა მოწაფე ტანისამოსით შეფასდება? თუ მას წაღები აცვია ალბად საცეკვავოდაც დადის, ცეკვა კი უარყოფითი არ არის.

აქ არავითარი გახრწნილება არ არის!.. რაც შეეხება სიმართლეს,—ჩვენ პირადათ არ გვახსოვს დღეს-დღეობით სწავლის დროს კლასში მთვრალი მოწაფე, ეს სიმართლეს არ შეეფერება. საჭირო იყო ცოცხალი ფაქტებით დასურათება. „ირ-დი“ აღნიშნავს აგრეთვე შემდეგს: „ვითომც მოწაფე კლასში მაუზერით მოდიოდეს და მასწავლებელს არაფრათ აგდებდეს“, განა ლაპარაკი შეიძლება? ჩვენ მოწაფეები ყველა „მთვრალები“ კი არა ფხიზლები გახლავართ! „მოწაფე მაუზერით“!? ჯერ არ გვინახავს ასეთი შემთხვევა. უნდა მოგახსენოთ მოქ. ირ-დი, რომ დღევანდელი მოწაფე აღარ არის ის მოწაფე, რომლის სულის სკოლის კედლებში იყო მომწყვდეული და არავითარ სულის აღმაფრენა, გახილისებას არ მისდევდა! დღევანდელს მოწაფეს არ აკმაყოფილებს მხოლოდ და მხოლოდ კლასიკური ცოდნა, მისი სული სხვასაც ესწრაფვის, მას სურს სულის სილაღე და ვერც ერთი ზნეობრივი პიროვნება, ვერ შეუშლის ხელს ამას, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მოწაფე კლასიკურადაც წარმატებით მუშაობს. აი! გაფრინდა ახალგაზრდა მოწაფის სული სკოლის გარეთ, დახვდა წინ პოლიტიკა ან ლიტერატურა!.. მითხარი მოქ. ირ-დი—განა თქვენ უარყოფთ? რომ მოწაფე ან ერთის ან მეორის სულისკვეთებაში გაეხვიოს?! არა და არა! დიახ! დღევანდელი მოწაფე ასეთია! ასეცაა და ვამაყობთ კიდეც, რომ ჩვენ კლასიკურ ცოდნის გარდა, გონებრივ საზრდოსაც ვიძენთ!

ავიღოთ მეორე მაგალითი. იშვიათად შეხვდებით ტფილისში ისეთს ტეხნიკუმს სადაც ორი ან სამი სალიტერატუროსამეცნიერო მოწაფეთა წრე არ არსებობდეს, (მაგ. ვაჟთა პირველი ტეხნიკუმი ვაჟთა Щ-მე ტეხნიკუმი და სხვა მრავალი) სადაც მოწაფენი ხარბად ეწაფებიან სამეცნიერო დარგებს და ამავე დროს სწავლითაც მშვენივრად სწავლობენ, ვინაიდან ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ეს დარგები სამეცნიერო და კლასიკური ცოდნა, უერთმანეთოდ ვერ იარსებებენ, ეს მაშინ მოქ. ირ—დი, როდესაც თქვენ მოწაფეს: „გახრწნილს“, „ლოთს“, უწოდებთ.

დასასრულს მსურს აღვნიშნო, რომ ის დრო მოკვდა, როდესაც გახრწნილს თავად-აზნაურობის წრიდან წარმოშობილნი მოწაფენი მართლაც დროს ქეიფსა და ლოთობაში ატარებდენ და სხვა უზნეო საქციელში. დღევანდელი მოწაფის სული მსოფლის ქაოსსმა ძირიან ფესვიანად შეარხია და მას სხვადასხვა თვალსაჩინო გზისაკენ მიუთითა!.. მიუთითა და მოწაფის გამოფხიზლებას ამ გზისაკენ წასვლა და წარმატება დაეტყო: თქვენ კი სცდებით მოქ. ირ—დი თქვენ ვერ დაჩრდილავთ მოწაფის ბწყინვალე სულისკვეთებას!.. წინ მიდის მოწაფე, თვისი კლასიკური ცოდნით და მასთან ლიტერატურა-პოლიტიკით და თავისი დღევანდელ-დღეს ჩამოყალიბებული ზნეობრივი სიფაქიზე წინ მიუძღვის.

ტეხნიკუმის მოწაფე
სიმონ მთვარაძე.

*) ვაძლევთ საშუალებას გამოსთქვას თავისი აზრი.

რედ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 1.000 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2.